სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №183

29 მარტი 2012 წელი ქალაქი ქუთაისი

ერთის მხრივ, თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, (შემდგომში „შემსყიდველი") ქალაქის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე დავით ანდღულაძის სახით. (მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, ტელ: 24-64-48)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი", მისი დირექტორის აკაკი ზაქარიაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი"), (იურ/ფაქტ. მისამართი: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №53, ტელ: 551 98 41 91, 0(431) 25 06 56), ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და მიმწოდებლის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, (საკონკურსო განაცხადი №388 22.03.2012 წ.) დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და ახორციელებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;

1.6 ,,მომსახურება" – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7 ,,ტექნიკური დოკუმენტაცია" – მიმწოდებლის მიერ (საკონკურსო განაცხადი №388) საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქალაქ ქუთაისში გზების (გაფრინდაშვილის, დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ. შეკეთების – ბეტონით, ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის – დაწნეხილი ფილებით, ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის – დაწნეხილი ფილებით, რუას ქუჩის სავალი ნაწილის შეკეთების – მონოლითური ბეტონით, ნიკეას ქუჩის II შესახვევში №6 და №10 საცხოვრებელი სახლების შემაერთებელი შიგა კვარტალური გზის –ბორდიურებით, ა/ბეტონით, ჭავჭავაძის გამზირის მესამე შესახვევის სავალი ნაწილის შეკეთების – ასფალტობეტონით) მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა .

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დოკუმენტაციაში.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 4500 (ოთხიათასხუთასი) ლარს დღგ–ს გარეშე.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი განახორციელდება თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ.

4.2 კონტროლი გულისხმობს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

4.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ,,მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. მომსახურების გაწევის პირობები

5.1 მომსახურების გაწევა განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს საკონკურსო წინადადებაში ასახული პირობების შესაბამისად.

5.2 ,,მიმწოდებელმა" წარმოდგენილ საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას თან უნდა დაურთოს ელექტრონული ვერსია. ამასთან დამატებით უნდა წარმოადგინოს საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია PDF ფორმატში, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს.

5.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 „შემსყიდველი" შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2 ,,მიმწოდებლი"–ს მიერ შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

6.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება ,,მიმწოდებლი"–ს წერილობითი მომართვის საფუძველზე;

7.2 ,,მიმწოდებლი"–ს წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:

ა) ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობა და ღირებულება,

ბ) მომსახურების გაწევის შესაბამისად ამოწერილი ანგარიშფაქტურა.

7.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში.

7.4 ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ფასები

8.1 ,,შემსყიდველი"–ს მიერ ხელშეკრულებაში მითითებული ფასი არ უნდა აღემატებოდეს ,,კონკურსანტი"–ს მიერ საკონკურსო წინადადებაში მითითებულ ფასს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები ,,შემსყიდველი" ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

9.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1 ,,შემსყიდველი" უფლებამოსილია:

–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს ,,მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო ინფორმაცია;

10.2 ,,შემსყიდველი" ვალდებულია:

– უზრუნველყოს ,,მიმწოდებლი"–ს მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით;

10.3 ,,მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

10.3.1 მოსთხოვოს ,,შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

10.4 ,,მიმწოდებელი" ვალდებულია:

10.4.1 დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები,

10.4.2 განახორციელოს დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაციის საავტორო ზედამხედველობა.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებელი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:

– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის 1500 (ათასხუთასი) ლარს.

11.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.

11.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, ,,მიმწოდებლი"–ს დაჯარიმების შემთხვევეაში, ,,შემსყიდველი" იტოვებს უფლებას ფაქტიურად გაწეული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

11.5 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

12.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება დაუყონებლივ უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს.

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ადგილობრივი ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 27 აპრილის ჩათვლით.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი ,,მიმწოდებელთან" და 2 (ორი) პირი ,,შემსყიდველთან".

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ქალაქ ქუთაისის მერია	შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3	იურ/ფაქტ. მის: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №53
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"	ს.ს ,,პრივატ ბანკი"
ქუთაისი ფილიალი	
ბ/კოდი: 220101605	ბ/კოდი: CAVOGE22
ა/ა №33033303	ა/ა GE39TP0036080020001909
ს/კოდი: 212721170	ს/კ 412674921
ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე	შ.პ.ს ,,სამართლებრივი ანალიზისა და ექსპერტიზის ცენტრი"
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	დირექტორი
---	---
დავით ანდღულაძე	აკაკი ზაქარიაძე

კონკურსში ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში შესრულებული იქნება: ტექნიკური დოკუმენტაცია

შესაკეთებელი და დასაპროექტებელი ობიექტების დასახელება:

1.გაფრინდაშვილის, დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ. შეკეთება – ბეტონით;

2. ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობა – დაწნეხილი ფილებით;

3. ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზა – დაწნეხილი ფილებით;
4. რუას ქუჩის სავალი ნაწილის შეკეთება – მონოლითური ბეტონით;
5. ნიკეას ქუჩის II შესახვევში №6 და №10 საცხოვრებელი სახლების შემაერთებელი შიგა კვარტალური გზები – ბორდიურები, ა/ბეტონით;
6. ჭავჭავაძის გამზირის მესამე შესახვევის სავალი ნაწილის შეკეთება – ასფალტობეტონით.

ფილიალი №	დასახელება	ობიექტის რაოდენობა	ღირებულება დღგ–ს გარეშე
1	გაფრინდაშვილის ქუჩის სავალი ნაწილის კაპ. შეკეთება ბეტონით	1	600 ლარი
2	დავით ჯანელიძის ქუჩის სავალი ნაწილის კაპ. შეკეთება ბეტონით	1	600 ლარი
3	ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას'' სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობა – დაწნეხილი ფილებით	1	900 ლარი
4	ი.ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგიზის №2 სადგურთან მისასვლელი გზა – დაწნეხილი ფილებით	1	600 ლარი
5	რუას ქუჩის სავალი ნაწილის შეკეთება – მონოლითური ბეტონით	1	600 ლარი
6	ნიკეას ქუჩის II შესახვევში №6 და №10 საცხოვრებელი სახლების შემაერთებელი შიგა კვარტალური გზები – ბორდიურები, ასფალტობეტონით	1	600 ლარი
7	ჭავჭავაძის გამზირის მესამე შესახვევის სავალი ნაწილის შეკეთება – ასფალტობეტონით	1	600 ლარი
	სულ	7	4500 ლარი (დღგ–ს გარეშე)

საპროექტო სამუშაოებში გათვალისწინებული იქნება გზების დაზიანებული საფუძვლების აღდგენა, გზის სავალი ნაწილის ახალი საფარი მოეწყობა პროექტის აღწერილობით ნაწილში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

გათვალისწინებული იქნება არსებული მიწისქვეშა კომუნიკაციების სათვალთვალო ჭების ამოწევა და სხვა აუცილებლად ჩასატარებელი სამუშაოები. შედგენილი იქნება პროექტი და ხარჯთაღრიცხვა.

ქუჩების სიგრძე და სავალი ნაწილის სიგანე დაზუსტდება პროექტის დამუშავების დროს.

აღნიშნული ობიექტების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში.

შპს ,,სამართლებრივი ანალიზისა

და ექსპერტიზის ცენტრის დირექტორი: აკაკი ზაქარიაძე